

ლერი ჯიბლაძე

კიდევ ერთხელ კოლხეთის შუა და  
 გვიანბრინჯაოს ხანის  
 კულტურათა ურთიერთმიმართების  
 საკითხებზე

ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთ არქტუალურ და პრობლემურ საკითხად კვლავ რჩება შუა „პროტოკოლხური II ეტაპი“ და გვიანბრინჯაოს „ძველკოლხური I ეტაპი“ ხანის კულტურათა ურთიერთმიმართების გარკვევა<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა უკეთესადაა შესწავლილი ლითონის ინვენტარის, კერძოდ ბრინჯაოს ყუამილიანი და კოლხური ცულების სხვადასხვა სახეობის მიხედვით. მკვლევართა უმრავლესობა, ლითონის ინვენტარის მიხედვით, სამართლიანად აღიარებს ამ კულტურათა შორის გენეტიკურ კავშირებს (1, გვ. 17-21; 4, გვ. 15-17; 6, გვ. 34; 7, გვ. 5; 9, გვ. 98; 14, გვ. 55; 17, გვ. 116; 26, გვ. 9; 29, გვ. 17; 31, გვ. 174). მართლაც უდაოა გენეტიკური კავშირები კოლხეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიან-ყუადაქანებულ, კოლხური ცულების პროტოტიპებსა (ურეკი, ქვიშარი, საჩხერე, ბიჭვინთა, ბრილი, მახუნცეთი, პილენკოვო, ლეჩქოფი, სვანეთი და ა. შ.) და გვიანბრინჯაოს ხანის სხვადასხვა სახეობის ცულებს შორის (ტაბ. I<sub>13-37</sub>). მათ შორის მემკვიდრეობითი კავშირები შეიმჩნევა ქიმისებური შვერილებით, ტანის ექვსად დაწახნაგებით, პირისა და სატარე ხერელის მოყვანილობით, ცულის ქვედა პირისკენ დაშვებული შუა წიბურებით და სხვ. ვერ დავეთანხმებით იმ მკვლევარებს, რომლებიც კოლხური ცულების პროტოტიპებს გენეტიკურად უკავშირებს ღრმადღე-შამშადინის ამ რიგის იარაღებს (მათ შორის ტიპოლოგიურ მსგავსებას ხედავენ ტანის ექვსად დაწახნაგებით, სატარის ძირზე არსებული ქიმისებური შვერილებით, ილლიისა და შუბლის მცირედ ამოღარულობაში და ა. შ. 6, გვ. 36; 30, გვ. 10). აკად. ოთ. ჯაფარიძის

<sup>1</sup> პროტოკოლხურ და ძველკოლხურ კულტურათა ურთიერთმიმართების გარკვევას აფერხებს ის ფაქტიც, რომ დღემდე არ არის გამოვლენილი მათი სინქრონული სამაროვნები, რომლის კომპლექსურ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნებოდა უფრო სრულად გარკვეულიყო ამ კულტურათა ურთიერთკავშირები.

აზრით ღრმადღელე-შამშადინის ცულები იმდენად ჩამოყალიბებული ტიპისაა, რომ ძნელია მისგან მივიღოთ შემდეგი განვითარება კოლხური ცულების პროტოტიპებისა. მას დასაშვებად მიიჩნია ღრმადღელე-შამშადინისა და კოლხური ცულების პროტოტიპების ერთი საერთო წარმომავლობა (18, გვ. 163). ზოგიერთი მკვლევარი მათ შორის გარკვეულ ტიპოლოგიურ მსგავსებასთან ერთად განსხვავებას ხედავს სხვადასხვა გეოგრაფიული გავრცელების რაიონებით, განსხვავებულ სიმაღლეზე განლაგებული ნიღრებითა და სხვა ნიშნების მიხედვით (9, გვ. 151, 156)<sup>2</sup>. ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია კოლხური ცულების პროტოტიპების ადგილზევე ფორმირება შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიან-ყუადაქანებული ცულების (ურეკი, ლეჩქოფი) ევოლუციის შედეგად (ტაბ. I, 13, 14, 15). ეს უკანასკნელი კი გენეტიკურად უნდა უკავშირდებოდეს უფრო ადრეულ სვანეთის, საჩხერის, განთიადისა და ფიჩორის, ყალიბების მიხედვით, ყუამილიან ცულებს. ვფიქრობთ, რომ ყუამილიანი ცულებიდან კოლხური, ამ რიგის იარაღების ფორმირება გარკვეული პროცესია და მათ შორის ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს უნდა წარმოადგენდეს პილენკოვოში („განთიადი“) აღმოჩენილი ნიმუშები (ტაბ I<sub>16,17</sub>). ჩვენი ვარაუდით ეს ცულები სხვა პროტოტიპებთან შედარებით არჩაულია და მათზე კარგად იგრძნობა ყუამილიანიდან კოლხური ცულის პროტოტიპზე გადასვლის პროცესი. ვფიქრობთ, პილენკოვოს იარაღებში ერთადაა თავმოყრილი ყუამილიანი და კოლხური ცულების პროტოტიპებისათვის დამახასიათებელი ელემენტები.

შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის გენეტიკურ კავშირებს აღიარებენ ბრინჯაოს თოხების მიხედვით (10, გვ. 148). აკად. ო. ჯაფარიძე თვლის, რომ ურეკის ბართოხები წარმოადგენდა გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ პირფართო თოხების პროტოტიპებს (17, გვ. 116-117). ეს მოსაზრება შემდგომში არ გაიზიარა ზოგიერთმა მკვლევარმა (9, გვ. 61, 14, გვ. 81-82). ზოგჯერ პირვიწრო თოხების საბოლოო ვარიანტად თვლიან გვიანბრინჯაოს ხანის ერო-

<sup>2</sup> აკად. წ/კ კ. ფიცხელაურის აზრით ღრმადღელე-შამშადინის ცულები არ შეიძლება ჩაითვალოს კოლხური ცულების პროტოტიპად, რადგან ისინი სრულიად განსხვავებული ტერიტორიისათვის და სხვადასხვა კულტურებისათვის დამახასიათებელი ირადებია (12, გვ. 169). იგი პროფ. ბ. პიოტროვსკთან ერთად ღრმადღელე-შამშადინის ცულებს მიიჩნევს ცენტრალური ამიერკავკასიული ცულების პროტოტიპად (12, გვ. 169).

ქარჩისებურ იარაღებს (11, გვ. 160). დასაშვებად მიგვაჩნია გენეტიკური კავშირები ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ფიჩორის, ანაკლია II-ის ურეკისა და მეორეს მხრივ გვიანბრინჯაოს ხანის ჯვრის, სვანეთის, ოჩამჩირის, ჩოლოქის, ნამჭედურისა (ყალიბების მიხედვით) და ზენითის სამიწათმოქმედო იარაღებს შორის (ტაბ. 11<sup>1-14</sup>). ეს განსაკუთრებით კარგად ვლინდება ტანის, მხრების მთლიან მოხაზულობაში ჩართულობით და სამუშაო პირის მოყვანილობით. სადღეისო მონაცემების მიხედვით მხრებმომრგვალებული, ვიწროპირიანი და შედარებით მომრგვალებული ფართოპირიანი ბრინჯაოს თოხები სათავეს იღებს ადრებრინჯაოს ფინალურ ეტაპზე და შუაბრინჯაოს ხანაში. ეს ფორმა ტანის იგივე მოყვანილობით და უფრო წაწვეტებულ-წამახვილებული სამუშაო პირით არსებობას განაგრძობს მთელი ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში. კოლხეთში უფრო ადრეულ პერიოდში არ ჩანდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გავრცელებული პირფართო თოხების პროტოტიპები. უკანასკნელ წლებში ანაკლია II-ზე აღმოჩენილი ამ რიგის იარაღის ნიმუშები “ყალიბების მიხედვით” გვაფიქრებინებს, რომ უკვე ადრე და შუაბრინჯაოს ხნიდან პირვიწრო თოხების გვერდით არსებობდა შედარებით ფართოპირიანი ამ სახის სამიწათმოქმედო იარაღები. იქნებ მართებული იყოს პროფ. მ. ბარამიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად ანაკლია II-ის სამიწათმოქმედო იარაღები მოიაზრება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფართოპირიანი თოხების წინამორბედად (1, გვ. 17)<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე პროფ. ბ. კუფტინი ნაოხვამუსა და ანაკლია I-ის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის მასალებს შორის განსხვავებას ხსნიდა არა მარტო ქრონოლოგიური არათანხვედრით, არამედ რაღაც ეთნიკური ან სამეურნეო თავისებურებებით, რომელიც რიონის დაბლობის უძველეს მოსახლეობას განასხვავებდა მთისწინა და ზღვისპირა ზოლის მოსახლეობისაგან (30, გვ. 256-257). პროფ. თ. მიქელაძემ არ გაიზიარა ეს მოსაზრება. მისი აზრით ნაოხვამუსა და ანაკლია I-ის კერამიკა გვხვდება როგორც ზღვისპირა, ასევე მთისწინა ზოლში (6, გვ. 51). აღსანიშნავია, რომ პროფ. თ. მიქელაძემ ნოსირის კერამიკულ მასალებზე დაყრდნობით პირველმა გაამახვილმა

<sup>3</sup> ადრერკინასა და ადრეანტიკურ ხანაში გავრცელებული რკინის თოხების ზოგიერთი სახეობა ავლენს გენეზისურ კავშირებს ბრინჯაოს ამ რიგის იარაღებთან (შ. დ. 23, ტაბ. I\, \ II; 24, ტაბ. \LII, LI, LII).

ყურადღება შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხებზე და მათ შორის აღიარა მჭიდრო გენეტიკური კავშირები (6, გვ. 67-68). შემდგომში ეს მოსაზრება ცალკეული ძეგლების მიხედვით გაზიარებულ იქნა მკვლევართა მიერ (1, გვ. 9-10; 2 გვ. 117-129; 15, გვ. 12; 16, გვ. 43; 25, გვ. 228; 28, გვ. 46). ზოგჯერ თვლიან, რომ პროტოკოლხურ და ძველკოლხურ მასალებს შორის არ შეინიშნება გენეტიკური კავშირები. ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ პროტოკოლხური I ეტაპისათვის (ადრებრინჯაოს ხანა, ისპანი, ანაკლია I-ის ქვედა ფენა, ფიჩორის VIII, VII ფენა)<sup>4</sup> დამახასიათებელი ჭილოფისანაბეჭდიანი, რელიეფურსარტყლიანი, პორიზონტალური, წყვილადყურიანი და მცენარისანაბეჭდიანი კერამიკის გენეტიკური კავშირები ძველკოლხური კულტურის მასალებთან (6, გვ. 72). როგორც ვხედავთ პროტოკოლხურ (II ეტაპი, შუაბრინჯაოს ხანა) და ძველკოლხურ (I ეტაპი, გვიანბრინჯაოს ხანა) კულტურებს შორის კერამიკული მასალების მიხედვით აღიარებენ მემკვიდრეობით კავშირებს. მეორე შემთხვევაში კი ვერ ამჩნევენ გენეტიკურ კავშირებს პროტოკოლხურსა (I ეტაპი- ადრებრინჯაოს ხანა) და ძველკოლხურ მასალებს შორის. აღსანიშნავია, რომ კარგად სტრატოგრაფიული ძეგლების მიხედვით (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ნამჭედური, ერგეტა, ნაკარლალი, ნოსირი III) ამ პერიოდებს შორის ქრონოლოგიური წყვეტილი არ შეინიშნება და კერამიკული მასალების მიხედვით ერთი საერთო განვითარების ხაზი იგრძნობა. კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე ძველკოლხური I ეტაპის ელემენტები ჩნდება ძვ. წ. XVI-XV სს-ებში. ე. ი. შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ ხანაში და მკვიდრდება მომდევნო პერიოდში (ძვ. წ. XIV-XV სს-ები).

უკანასკნელ პერიოდში პროფ. მ. ბარამიძის მიერ საგანგებოდ იქნა შესწავლილი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხები და მათ შორის არსებული გარდამავალი საფეხური (1, გვ. 17-20; 2, გვ. 117-129)<sup>5</sup>. მკვლევარმა ამ

<sup>4</sup> პროფ. თ. მიქელაძის აზრით, პროტოკოლხური კერამიკა კოლხურია, რადგან ჭურჭლის შემკულობის თვალსაზრისით, მისი თავისებური პრინციპებით ბევრი საერთო აქვს მასთან (6, გვ. 47; 67-68).

<sup>5</sup> კოლხეთის დაბლობის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის გარდამავალი საფეხურის გამოყოფაზე და მათ ურთიერთმიმართების საკითხებზე ჩვენც გარკვეული სამუშაოები გვაქვს ჩატარებული (19, გვ. 79, ტაბ. XXXVI, XXXVII; 20, გვ. 97-98; 21, გვ. 22, 22, გვ. 170-190; 27, გვ. 19)

კულტურათა ურთიერთმიმართების გარკვევისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კერამიკულ მასალაზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აღნიშნული პრობლემა შედარებით კარგად არის შესწავლილი ლითონის ინვენტარის მიხედვით და, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არაფერია თქმული კერამიკულ მასალაზე. უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა კი ბიძგი მისცა ამ პრობლემის წინ წამოწევას.

ვიზიარებთ რა, პროფ. მ. ბარამიძის მიერ გამოთქმულ ძირითად დებელებებს შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხებზე, ამის პარალელურად საექვო გვეჩვენება გარდამავალი საფეხურისადმი ნაკარღალის VI ფენის მიკუთვნება, სადაც ჩვენი აზრით მთლიანად დომინირებს ტიპური პროტოკოლხური კერამიკა და ერთი ელემენტიც არ ჩანს ძველი კოლხური საწყისი პერიოდის თიხის ნაწარმისა. ეს ფენა სინქრონულია ფიჩორის ცენტრალური ბორცვის V ფენისა, რომელიც კარგად არის დათარიღებული აბსოლუტური მეთოდებით (არაკალიბრირებულით ძვ. წ. 1680; კალიბრირებულით 1885 წ; თერმოლუმინისცენციის მეთოდით კი ძვ. წ. 1790 წ). ამიტომ უფრო მართებული გვეჩვენება ნაკარღალის VI ფენის განსაზღვრა ძვ. წ. XVIII-XVII სს-ებით და მისი მიკუთვნება პროტოკოლხური II ეტაპისადმი. ვფიქრობთ, შუაბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპზე ახალი ელემენტების დამკვიდრება დავუკავშიროთ ქართული ზანურენოვანი ეთნიკური კულტურული ნაკადის სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადმოადგილებას, რასაც მოყვა თავისებური კერამიკული ფორმებისა და ორნამენტაციის დამკვიდრება. უფრო ნაკლებად სავარაუდოა შუაბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს საწყის პერიოდში კერამიკულ წარმოებაში მომხდარი დიდი ცვლილებები (ე. ი. ტექნოლოგიური ძვრები) ავხსნათ თიხის პრიმიტიული მორგვის გამოჩენით, რადგან ამ ჰიპოთეზის დამამტკიცებელი საბუთიანობა ჭერ-ჭერობით არ გავაჩნია. შუა და გვიანბრინჯაოს ხანის პერიოდების კერამიკულ მასალებს შორის გარკვეული ნიმუშებისა და ნიშნების მიხედვით 'რუხი-ნაცრისფერი გამოწვა, ერთფენიანი კეცი, თიხის სტუქტურული შემადგენლობა' შეინიშნება განვითარების საერთო ხაზი. გენეტიკური კავშირები ვლინდება სამკუთხედისებურად შებრტყელებული ყურებით, მილისებური გადმოსასხმელიანი ჯამებით და პირგაშლილი უყელო ქოთნების ზოგიერთი სახეობით, რომელიც შემკულია სავარცხლისკბილისებური ორნამენტითა და მისი სხვადასხვა

ვარიაციებით (ტაბ. 1<sub>1,12</sub>). ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში პირგაშლილ ქოთნებს ამკობთ რელიეფურ სატყეელზე გამოყვანილი ნათითური ფოსოები, ჯიბისებური “ჩანთისებური“ დანაძერწები. უმეტესობას ზედაპირზე ეტყობა ნაფოტისმაგვარი ნივთით მოსწორების კვალი. ამ ტიპის ჭურჭელს ძველკოლხურ I ეტაპზე (დაახლოებით ძვ. წ. XV-XII) ფორმა უნარჩუნდება. რადიკალურად იცვლება მხოლოდ ორნამენტაცია. ხმარებაში შემოდის ღარული მოტივები, შევრონები, ფესტონები, სავარცხლისკბილისებური ორნამენტის სხვადასხვა ვარიაციები, ფრინველისმკერდისებური და ზოომორფული ყურები. საყურადღებოა, რომ ძველკოლხური II ეტაპის (ძვ. წ. X-VII სს-ები) ნამოსახლარებზე მრავლად გვხვდება რელიეფურ სატყეელზე გამოყვანილი ნათითური ფოსოებით შემკული თიხის ჭურჭელი. როგორც ზემოთ აღინიშნა დეკორის ეს სახეობა დამახასიათებელია პროტოკოლხური პერიოდისათვის. ვთქვამთ კოლხური კერამიკის წარმოებაში ამ შემთხვევაში უნდა დავინახოთ ძველი ტრადიციების აღდგენა და გამრავლება. შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის გენეტიკური კავშირები ისახება ღრუძირიანი ჭურჭლის მიხედვითაც ‘ტაბ. 111-12“ კერამიკის ეს ჯგუფი ჩნდება პროტოკოლხურ I, II ეტაპზე და განაგრძობს არსებობას ძველკოლხური I ეტაპის შუა ხანებამდე. შემდეგ კი ხმარებიდან გამოდის. შუაბრინჯაოს ხანის წყვილადყურიანი, ქილისებური ჭურჭლის ტრადიციის გაგრძელება ჩანს გვიანბრინჯაოს ხანაში - სავარცხლისკბილისებური და ღარული ანდაზით შემკულ ზოომორფულყურიანი ჭურჭლის სახით. ამ ორი ეპოქის პერიოდებს შორის მემკვიდრეობითი კავშირები შეიმჩნევა დაბალყელიანი, პირგაშლილი დერგებითა და რელსისებურბაკოიანი, ნახევარსფერულტანიანი ჯამებით.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გავრცელებული კანელუროვანი ორნამენტის საწყისები შეიძლება დავინახოთ შუაბრინჯაოს დასასრულისათვის დამახასიათებელ ღარულ დეკორში. ორივე სახის შემკობა სრულდება ღარებით და იცვლება მხოლოდ მათი დახრილობა.

ამრიგად, კოლხეთის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკის ზოგიერთ ფორმებს შორის იკვეთება გენეტიკური კავშირები. კოლხეთში სამეთუნეო ჩარხზე დამზადებული კერამიკა მასიურად ვრცელდება წინარეანტიკურ ხანაში ძველკოლხურ II ეტაპზე. მის კვალს ცენტრალურ კოლხეთში უფრო ადრეც ამჩნევენ (ძვ. წ. XIV-XII სს-ები,

3, გვ. 56; 13, გვ. 139). ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპთან შედარებით ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში 'აღრერკინის ხანა' კერამიკა უფრო მდარე ხარისხის ზდება. ორნამენტული სახეები მწირე და ერთგვაროვანია (8, გვ. 103-104). ამის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად თვლიან კერამიკის სერიულ წარმოებას, როდესაც იმდენად არ ექცეოდა ყურადღება ჭურჭლის შემკობის გარეგან სახეს. ეს მომენტი რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ კოლხეთის დაბლობზე ძვ. წ. VIII-VII სს-ებში თიხის ჭურჭელს არ ახასიათებდეს სხვადასხვა სახის მდიდარი დეკორი. სწორედ ამ პერიოდში გვხვდება რელიეფურ სარტყლებზე გამოყვანილი ნათითური ფოსოები ფართოზოლიანი კანელურები, სოლური შტამპები, ბადური 'რომბული' დეკორი, ტალღისებური, ზიგზაგოვანი მოტივები, ფიგურული შტამპები, ყურებისა და ჭურჭლის სხვადასხვა სახეობა და ა. შ.

კოლხეთის დაბლობის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის მეკვიდრეობითი კავშირები ასევე ჩანს ნამოსახლართა გამართვის ტრადიციით, საამშენებლო ტექნიკის მიხედვით, ქვის ინვენტარიცა და სხვა კომპონენტების მიხედვით.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, კოლხეთის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალურ კულტურებს შორის ვვარაუდობთ გენეტიკურ კავშირებს. ზოგიერთ ასპექტში, როგორცაა კერამიკული მასალა, ეს პრობლემა რამდენადმე ბუნდოვნად იკვეთება. ამის ერთ-ერთ მიზეზად გვესახება ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი საფეხურის ძეგლები, მათი თანმხლები მასალები, ერთი ეპოქიდან მეორეში გადასვლის პერიოდში თიხის ჭურჭლის ფორმებისა და ორნამენტაციის განვითარება - ცვალებადობა. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი და მათი უფრო ნათლად წარმოჩენა მომავალი საფუძვლიანი კვლევა-ძიების საქმეა.

## ლიტერატურა

1. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.
2. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.
3. გოგაძე ე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982.
4. ლორთქიფანიძე ო. ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972.
5. ლორთქიფანიძე ო. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986.
6. მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
7. ნიორაძე გ. ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XV-B, თბ., 1948.
8. ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ. პალურის საძვლე (1969 წლის მუშაობის შედეგები) მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, თბ., 1974
9. რამიშვილი ალ. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974.
10. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959
11. სახაროვა ლ. გვიანბრინჯაოს ხანის ლენხუმის სამიწათმოქმედო იარაღების შესწავლისათვის, „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, თბ., 1974.
12. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს), თბ., 1973
13. ფხაკაძე გ. მასალები აბედათის დიხა-გუძუბადან, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის VI, თბ., 1978.
14. ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965
15. ხახუტაიშვილი დ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, თბ., 1979.
16. ხახუტაიშვილი დ. ქობულეთის ქვეყანა I თბ., 1995



17. ჯაფარიძე ო. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI-B, თბ., 1950
18. ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969
19. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების ქრონოლოგია პერიოდიზაცია გურია. მხარის კვლევა ძიების შედეგები, I, თბ., 1996
20. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია 'ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მიხედვით', თბ., 1997
21. ჯიბლაძე ლ. პროტო და ძველკოლხური კულტურების ზოგიერთი პრობლემური საკითხისათვის, ძიებანი VI, თბ., 2000
22. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, ხელნაწერი
23. ძიძიგური ლ. ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ., 1994
24. ძიძიგური ლ. ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა - იარაღი, ნეოლით-ადრერკინის ხანა, თბ., 2000.
25. Барамидзе М. В. Пичорское поселение Материалы III Всесоюзного Симпозиума по древней истории Причерноморья "Вани 1987", Тб., 1990
26. Гамбашидзе О. Позднебронзовая Культура территории Среднего течения р. Риона. Автореферат на соискании уч. степ. дисс. канд. ист. наук, Тб., 1964.
27. Джибладзе Л. В. Стратиграфия, хронология, и периодизация поселения колхидской низменности в эпоху бронзы 'по материалам центрального холма Пичорского поселения', Автореферат на Соиск. уч. степ. дисс. канд. ист. наук. Тб., 1990
28. Коридзе Д. А., Гогодзе Э. М. Результаты полевых работ проведенных Носирской археологической Экспедиции в 1969 г., Тб., 1971
29. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941
30. Куфтин Б. А. Материалы к археологии колхиды том III, Тб., 1950
31. Трапш М. М., Труды. т. III, Сухуми, 1970.

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I, 1-12 შუა (1, 3, 5, 7, 9, 11) და გვიანბრინჯაოს (2, 4, 6, 8, 10, 12) ხანის კერამიკული მასალა; 13-37, 40-45 - კოლხეთის ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ცულების ტიპოლოგიურ განვითარების სქემა 38-39 ღრმადღლე - შამშადინის ცულები

ტაბ. II ადრე (1, 2), შუა (3, 4, 5, 6) და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (7-16) ბრინჯაოს თოხების ტიპოლოგიური განვითარების სქემა.

Л. Джибладзе

Еще раз о вопросах взаимосвязей  
между культурами эпохи  
средней и поздней бронзы Колхиды


Замечается генетическая связь между отдельными элементами материальной культурой средней и поздней бронзы колхиды. Это не всегда явно прослеживается в некоторых случаях а именно в керамическом материале.

L. Jibladze

## Once More on the Problem of Interrelation of the Middle and Late Bronze Ages Cultures in Colchis

A set of elements characteristic of artifacts belonging to the Middle and Late Bronze Ages reveal their genetic links, though in such sphere of the material culture as pottery, this links are manifested rather ambiguously.

ტაბ I



ტაბ II

